№ 24. 1946 წ.
გამოცემის წელი XXIII.
ფასი 2 მან.

ნიანგი

თბილისი.
გამომცემლობა
„კომუნისტი“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. ს. ბეჟაშვილისა

პირველი შთაბეჭდილება

გაერთიანებულ ერების გენერალური ასამბლეის სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მიერ შეტანილმა წინადადებამ—შეიარაღების საყოველთაო შემცირებისა და ატომური ენერგიის საომარი მიზნებისათვის გამოყენების აკრძალვის შესახებ, ავსტრალიისა და კანადის დელეგატების წინააღმდეგობა გამოიწვია.

გაზეთებიდან

ახალი წელი: რა ცხვირი ჩამოუშვიათ იმ მისტერებს, ჩემმა მოსვლამ აწყენინათ?
— არა, საბჭოთა დელეგაციის წინადადებამ.

იქ გაგონილი

საახალწლო ნაძვისხეზე,
სტუმრად მოვხვდი ევროპაში:
ალბათ ჩამომერთმეოდა
ნამდვილ დაუდევრობაში,
რომ იქ ნახულ-გაგონილი
დამევიწყა და მეტწილად
არ მეამბნა, რაზედაც იქ
ულვაშებში ჩამეცინა!
პირველ რიგში, თვალში მეცა
ფრაკოსანთა ერთი წყება;
გამაოცა მათმა ქცევამ—
გამჩენ› ნუ გამიწყრება:
ზოგს „მისტერად“ მიმართავდნენ,
ზოგი იყო ვინმე „სერი,“
რომელთაც იქ შიშის ზარით
აბოდებდა ესესერი.
— „იცით რაა ევროპაში?“—
ჰბოდავს მისტერ-გოგრარგვალი,—
„რკინის ფარდ› დაგვეფარა!—
ვაპ› ფაშიზმის ცოდო-ბრალი!
დემოკრატიზმს, ალბად ამჩნევთ,
რომ ეყრება საფუძველი,—
სჩანს „მშვიდობის საქმეს“ საფრთხეს
უქმნის ესესერის ხელი.
— მეტსაც ნიშნავს,—ჰკადრეს მისტერს,—
ჩანს, მშვიდობა ქრება ძველი,
ასეთ სიტუაციაში
რ›ს მოგვიტანს ჩვენ ეს წელი?
— ჩვენ ეს წელი,—სთქვა მესამემ,—
ცუდ ტარიხის ნიშნად გვხვდება,
რადგან მას წინ შემოუძღვა
მოლოტოვის განცხადება!
გაგონილა მისტერებო,
შესწყდეს შეიარაღება,
ან ატომი აიკრძალოს?
ომისათვის რაღა რჩება?
გამოდიხ, რომ ზოგი, ჩვენში
ვერც კი ამჩნევს საფრთხეს მჩინარს:
რომ ჩაფუშვა ემუქრება
ღვაწლს და შრომას ნაჩერჩილარს!..

* *
*

ამ სიტყვებზე წვერის ბოლო
შეარხია, როგორც ვაცმა
და, პაუზის შემდეგ ყველას
რჩევა მისცა ხერსტის კაცმა:
ძველ მექოთნის მაგალითი
გავიხსენოთ, შევაქოთა
და კვლავ ყური გამოვბათ
ჩვენ, ფაშისტურ ყველა ქოთანს!
მაგალითად, იმ ჩვენ ფრანკოს,
ტყუილად ხომ არ ვანახავთ?
ჩვენ იმაზე, სხვა უკეთესს
ქოთანს სადღ› გამოვნახავთ?
ის ერთი და სხვა მრავალი,
წამოვწიოთ, გამოვზარდოთ,
და მზარდ დემოკრატიზმის ცა
ძველებურად ჩამოვფარდოთ.
თორემ მართლაც, ღმერთმა ნუ ქნას,
რომ დამყარდეს ქვეყნად ზავი,—
ან ატომი გააუქმონ,
როგორც ომის სალესავი!
მაშინ ხომ ჩვენს მისტერ ჩერჩილს,
გაუხუნდა ძველი ლილა,
ან ჩემს პატრონს, ბატონ ხერსტსა
ბრესა სულ მთლად დაეჩრდილა?

* *
*

უცბად, ნაძვისხის გვერდიდან
კაცი ვინმე აიპლაკა:
თოვლის პაპას ჰგავდა, თორემ,
ვამსგავსებდი ფრანკოს პლაკატს.
ეპისკოპოს თელმანესის
გვამი გახლდათ კურთხეული,
საბჭოეთზე ბრაზისგან რომ
უკანკალებს სულ სხეული.
—მართალს ბრძანებს ხერსტის კაცი,
ბედმა ის ნუ გაგვიწბილოს,—
მაცხოვარმა დაიფაროს,
რომ ფაშიზმი დაგვეჩრდილოს!
მე, ჩემს წილად შევსახოვ უფალს,
ვინც გვაჩუქა ჩვენ ატომი,
საბჭოეთზე აამხედროს
ქვეყანა და ატყდეს ომი!
თუ არ გჯერათ ეს ღაღადი,
ჰკითხეთ ხერსტის მოლარესა,
ვინც უფლის წილ ამ თხოვნისთვის
უხვად მაძლევს დოლარებსა!..

* *
*

აბა, ამგვარ არგუმენტში
ეჭვს რომელი შეიტანსა?
მიტომაც იმ მისტერებმა
თაყვანი სცეს შეითანსა
და კურთხევა რომ მიიღეს,
ერთად მისცეს ხელი ხელსა
და დაასკვნეს—პეტიცია
წარუდგინონ ახალ წელსა,
ჰაბუკ სტუმარს ქება უთხრან,
(ეგებ ამით შეაცდინონ!)
და მას სთხოვონ დახმარება
რომ ფაშიზმი ალაგინონ!

* *
*

ამ დროს საათმა დარეკა—
თორმეტი—სათვალავითა
და, ყრმამ, დარბაზის კარები
შემოხსნა ძალუმ მკლავითა,
ნაძვისხეს მოუახლოვდა,
თვალი მოავლო მოხულთა
და წყრომით ზურგი აქცია
იმ შავ ზრახვებით მოცულთა!—
ზურგი აქცია უინსტონს,
ინტრიგის ბებერ ოსტატსა,
ხოლო თანხმობის მოსურნეთ—
ტუჩზე ღიმილი მოსტაცა!
თვითონ მიხვდებით რას ნიშნავს
ეს ქცევა ახალ წელისა:
ქვეყნად მშვიდობის შენებას
წელსაც ტრიუმფი ელისა!
მშვიდობა გათენებულ დღეს,
ტკბილი სიმღერით მოხულსა,
ახალ წელს, ახალ იმედის
მზით და ყვავილით მორთულსა,
მშვიდობა დიად სამშობლოს,—
ძლევის დიდებით მოცულსა.
დე ქოფაკები ღმუოდნენ—
ატომით მოქადულები,—
ჩვენ ახალ გამარჯვებისთვის
გავიფოლადოთ გულები.

ფარსადანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურჟუაზიული კონსტიტუციის მონაპოვარი

ნახ. მ. ოთაროვისა

1. სიტყვის თავისუფლება.

2. შრომის უფლება.



3. რასობრივი თანასწორობა.

4. დასვენების უფლება.

დირექტორის გასაჭირი

ნახ. ე. ლალიხა

— **რამ დააღონა ჩვენი დირექტორი?**

— **შტატს ამცირებს.**

— **მერე რა, თითონ მას ხომ არ ამცირებენ?**

— **მას არა, მაგრამ ამ დაწესებულებაში ყველა მისი ნათესავია და არ იცის რომელი გაიმეტოს.**

შეხვედრა

როცა ახალმა, 1947 წელმა ფეხი შემოსდგა, ძველს გუდა-ნაბადი უკვე შეკრული ჰქონდა.

— გამარჯობა ბაბუა!—შესძახა ყმაწვილმა ახალმა წელმა წასასვლელად გამზადებულ თეთრწვერა მოხუცს.

— ეხ, ბიჭიკო! გამარჯვებაც შენ გრჩება და დღეგრძელობაც! მე კი, აი, ხომ ხედავ, მივდივარ!

— გულს ნუ გაიტეხ, ბაბუა. ხომ გაგიგონია: „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსაო“.

— ჰო, ეგ კარგად არის ნათქვამი... ტურფასა საბაღნაროსა! მაშ გიტოვებ, ყმაწვილო, ამ ტურფა წალკოტს. მართლაც რომ ტურფაა საბჭოთა ქვეყანა. მე იგი ამ ერთ წელში უფრო ტურფა გავხადე, შენ კიდევ უფრო ააყვავებ. ვაშა შენს მომავალს!

— რა ამბავი დამახვედრე ბაბუა, ამ ცა-ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტოვან მხარეში?

— მოვედი თუ არა, ჯერ ისევ შენებრ ჭაბუკი ვიყავი, რომ თავი სტახანოველად გამოვაცხადე, ორ წელში შესასრულებელი—ერთ წელში შევასრულე. მე დავიწყე და შენც, რა თქმა უნდა, დიდი ენტუზიაზმით უნდა განაგრძო საავტომობილო ქარხნის მშენებლობა. ერთი ახალი ქალაქი შევმატე, ჭაბუკო, ჩვენს პირმცინარ საქართველოს—ქალაქი რუსთავი! აი, ხვალიდანვე გაიცნობ ამ ქალაქს, მუშაობის ფერხულში ჩაგაბამენ, უსაქმოდ ერთ წუთს ვერ გაჩერდები.

— კიდევ მითხარი რამე, მოხუცო!

— რომელი ერთი ჩამოვთვალო. აი, თუ გნებავს, სამგორის სარწყავი არხის მშენებლობა, ორთქლმავალშემკეთებელი, მსუბუქი მრეწველობის ახალი ფაბრიკების აგება. ვინ იცის რა არ წამოვიწყე, ვინძლო სახელოვნად გააგრძელო ჭაბუკო, ჩემს მიერ დაწყებული.

— ვეცდები მოხუცო. მიამბე კიდევ რამე.

— მტკიცე საფუძველი ჩავუყარე მეოთხე ხუთწლედს, რომლის პირველი წელიც წარმატებით მევე დავამთავრე, და მეორე წელი გასაგრძელებლად შენ შემოგინახე! თუ გსურს რამდენიმე სიტყვას გეტყვი ხელოვნების შესახებაც.

— ბრძანე, შენი გულისა!

— კინემატოგრაფიის მუშაკებმა „ფიცის“ ქვეშ დაამტკიცეს წინსვლა. ძალზე გამახარა საოპერო ხელოვნებამაც: „ამბავი ტარიელისა“ „ბაში-აჩუკმაც“ კი ნახა ოპერის თეატრში.

— ახალი პიესები თუ იწერება?

— მე მხოლოდ 45 ახალი დადგმის ნახვა მოვასწარი.

— ამ ხურჯინით რა მიგაქვს, ბაბუა?

— რეპერტკომმა გამატანა... გამოუსადეგარი პიესებია.

— ბაბუა, მცხეთაში გამოვლისას რაღაც თხრილები დავინახე, მეორეთ მოსვლა ხომ არ ყოფილა, მკვდრები ხომ არ აღსდგნენ?

— ეს მცხეთა-არმაზის გათხრებია, რომელიც ჩემმა წინამორბედმა წლებმა დაიწყეს და რაიც მეც წარმატებით განვაგრძე.

— ხომ არ დაღლილხარ, ბაბუა, ან მკურნალობა ხომ არ დაგჭირვებია?

— მე არა, მაგრამ დიდ ყურადღებას ვაქცევდი სხვების ჯანმრთელობას. მარტო საკურორტო მშენებლობებზე 14 მილიონი მანეთი შემომეხარჯა.

— ბაბუა, აი, იმ მახლობელ სახლიდან რა ხმები ისმის?

— ჩვენი წარმოებების მოწინავე ადამიანები მღერიან! მე უკვე სამადლობელი დავლიე, სამი თვეა გელოდებიან.

— როგორ?

— წლიური გეგმა ცხრა თვეში შეასრულეს, მაგრამ შენს მოსვლამდე დარჩენილ სამ თვეში ექვსი თვის საქმე გააკეთეს.

— მომწონს ასეთ ხალხთან შეხვედრა, მაგრამ როგორც ვატყობ, ისინი ხუთ თვეში უკან გამისტუმრებენ,—ღიმილით წამოიძახა ახალმა წელმა.

მოსაუბრენი ერთად მიუახლოვდნენ იმ სახლს, საიდანაც სიცილ-ხარხარი და სიმღერა ისმოდა.

— იქ მარტო არ შეგიშვებენ!

— რატომ, ბაბუა?

— იქ მყოფებმა ხუთწლიანი გეგმა ერთ წელში შეასრულეს. მარტო შენ არ მიგიღებენ, 1950 წლამდე დარჩენილ წლებსაც მოიკითხავენ. აბა ამ კარების ჭუჭრუტანიდან შეიხედე.

ახალმა წელმა ლამაზად მორთულ ოთახში გარკვევით დაინახა საუცხოოდ შემკობილი, გაშლილი სუფრა, ფართო მხარბეჭიანი მომღიმარი მეგობრები და სუფრის თავში წამოწოლილი, გეგმის ზევით პირდაღებული შებრაწული გოჭი.

საათმა თორმეტჯერ დაჰკრა.

— მშვიდობით... აბა შენ იცი. წარმატებებს გისურვებ!

— მშვიდობით.—შეაგება ახალგაზრდამ და ერთმანეთს გამოეთხოვნენ.

მასპინძელთა კარები ფართოდ გაიღო თუ არა, სუფრასთან მდგომმა მომღიმარმა ვაჟკაცებმა ერთხმად შესძახეს:

— შენს მოსვლას გაუმარჯოს ახალო წელო!

— დღეს დროსტარებაში გავეცნოთ ერთმანეთს და ხვალიდან კი საქმეს შევუდგეთ.

კ. ბოგიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძეგლი დასუფთავების კანტორის გამგეს

ნახ. ა. კანდელაკისა

1. თოვლი წამოვიდა.

2. ეზოში ბავშვები თოვლის დიდ გუნდას აგორავებდნენ.

3. ერთი მათგანი მოკანდაკის ნიკით იყო დაჯილდოვებული და გადასწყვიტა...

4. გადახწყვიტა და „ხელთუქმნელი“ ძეგლი დაუდგა დასუფთავების კანტორის გამგეს.

ტემპერატურის ცვალებადობა

ნახ. ა. კანდელაკისა

1. ზაფხული.



2. ხეცხე.

მეეზოვე და ბავშვები

ნახ. დოლნისა

1.—თქვენ გენაცვალეთ, ბიებო, თქვენი სიხარული, ჩემი სიხარულია.

2. . . . . .

3. — მე თქვენ გიჩვენებთ სეირს, რომ ქუჩას აფუქებთ და კაცს ვეღარ გაუვლია!

რედაქტორის ჩიბუხი

საჩივლელი ბევრი მაქვს, მაგრამ რა ვქნა, თავაზიანობა მაიძულებს გავჩუმდე. სხვა ჩემს ადგილზე—დაემდურებოდა, არა მარტო ახალგაზრდა მწერლებს, ხანშიშესულებსაც კი, რომელთაც პატარაობაშივე დაურწმუნებიათ თავი სტილისა და მართლწერის ცოდნაში და შემდეგ აღარ გარჯილან მის შესაძენად. ხშირად მაბნევენ. ჩემს ბავშვებს ხომ ერთი ორომტრიალი აქვთ შინ: მასწავლებელმა ასე და ასე გვასწავლა, სახელმძღვანელოშიც ასე სწერია, შენს ჟურნალშიც კი—ჭრელი სტილით იბეჭდება მასალებიო.

ერთ პატივცემულ მწერალს შევეკითხე:

— ამხანაგო ონოფრე, რით ასაბუთებთ იმას, რომ თქვენ „დნენ“-ის ნაცვლად „დენ“-სა სწერთ. ზმნის პირველ პირში კი „ვინს“ არა ხმარობთ?!

— ეგ თქვენ წვრილფეხა მწერლებს ასწავლეთ, მე უკვე კბილი გამოვიცვალეო!—მომიჭრა მან მწყრალად.

უნებლიეთ შევხედე სახეში და შევამჩნიე, რომ კბილი არამც თუ „გამოცვლილი“, არამედ მთლად გამოცლილი ჰქონდა. მის კბილებთან, აბა რა მესაქმებოდა; გავჩუმდი, გავიფიქრე: რადგან თვით მწერალს ასე სურს, ჩვენ, რედაქტორებს, რა ძალა გვაქვს, სწეროს ისე, როგორც ესიამოვნება-მეთქი.

მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის, შეცდომები რომ თავიდან აგვეცილებინა, ონოფრეს ხელნაწერი სტილისტს გადავეცი. მაგრამ იმ ოჯახქორმა ახალი უსიამოვნება დამატეხა თავს.

— უპირო ზმნაში ასო „სანი“ ზედმეტიაო, ასე გაიძახის ის დალოცვილი, მაგრამ უპირო ზმნაში კი არა, ყველა ზმნებში გაურჩევლად მოაძრო ეს ასო. „სჩადის“ ნაცვლად ჩადის დაწერა, „სცალიანს“ ნაცვლად ცალია, „სფეროს“ მაგიერ ფერო, „სჭირია“—ჭირიად გადააკეთა, „სჯის“ გახადა ჯის და ბევრი სხვა. ამრიგად, ონოფრეს მაღალმხატვრული ნაწარმოები, რომელიც მან ზამთრისა და შუშის შესახებ დაგვიწერა, მთლიანად დამახინჯდა.

ავტორს ჰქონდა ასე:

„ულმობელი ბატონი ასე სჩადის, რადგან ზედმეტი შუშა სჭირია, თუმცა წამს—გაზაფხული დადგება. ბატონი სწორად არა სჯის. გლეხები კი სხედან, უცქერიან და ვერ ამჩნევენ, რომ თოფი სჭერია“.

თავი დავანებოთ ნაწარმოების შეფასებას, მთავარი ის არის, რომ სტილისტმა ყველგან ასო „სანი“ ამოაგდო და გამოვიდა შემდეგი ფრაზა: „ულმობელი ბატონი ასე ჩადის, რადგან ზედმეტი შუშა ჭირია, თუმცა წამს გაზაფხული დადგება. ბატონი სწორად არა ჯის. გლეხები კი ხედან უცქერიან და ვერ ამჩნევენ, რომ თოფი ჭერია“.

კორექტურის გასწორების დროს ონოფრეს წაუკითხავს თავისი ნაწარმოები, ელდა სცემია და თმაგაწეწილი მოვარდა ჩემთან. მან შემოსვლისთანავე შემომაძახა:

— ერთი მითხარით, ვინ არის თქვენს რედაქციაში, რომელიც ნაწარმოებში შინაარსსა და აზრებს მიცვლის?!

— დაწყნარდით, დამშვიდდით,—მივმართე ხმადაბლა,—ვინ გაბედავს თქვენი აზრების შეცვლას, ან შინაარსის გადასხვაფერებას?!

— ეს რა არის?!—შემეკითხა ის და ანაბეჭდები მაგიდაზე დამიყარა,—რომელი ბრძენი იტყვის, რომ ადამიანისთვის შუშა ზედმეტი ჭირია, მეტადრე მაშინ, როდესაც ცივა? ამისათვის ჯერ კიდევ შარშან „თბილსათბობის“ მმართველს ემდურებოდნენ. ან და, გამაგებინეთ, ერთ წამში გაზაფხული როგორ დადგება? რომელ მწერალს დაჭირდება იმისი მხატვრული ასახვა, ბატონი სწორად ზის თუ არა? ამას გარდა, ვინ დასვა ხეზე გლეხები, ან თოფი როგორ შეიძლება ჭერი იყოს?!. ეს რომ ასე დაბეჭდილიყო, ხომ თავი მომეჭრებოდა?! ახლავე მომიძებნეთ დამნაშავე, ახლავე!—გაჰკიოდა იგი.

სწორედ ამ დროს ჩვენი სტილისტი შემოვიდა. ერთმანეთს პირისპირ შევახვედრე და ვუთხარი, მორიგდით-მეთქი.

სტილისტიც თავის გამართლებას შეუდგა:

— თქვენს ხელნაწერს გასწორება ჭირია. ვისა ცალია, ან ვისა ცივა და ცხელა ტყუილ-უბრალოდ თავი იტეხოს?!

— თქვენს გასწორებულს კი ახლად დაწერა სჭირია, რადგან ვერ მივიღებთ თქვენს გამოთქმას: „სტილისტს თავში ტვინი ქონია“-ო.

მათ სიტყვა-პასუხს რომ დავუკვირდი—ორივენი დამნაშავენი იყვნენ. შევაჩერე, კედლიდან გადმომცქერალ რუსთაველის პორტრეტისაკენ მივახედე და ვუთხარი:

— პატივცემულო ონოფრე, რას ერჩით იმ საწყალ „ვ“-ინს, რომელიც ქართულ ანბანში მეექვსე ადგილზე არის გამოხატული და რომელსაც დიდის სიამოვნებით იყენებდა რუსთაველი, ან თქვენ, პატივცემულო სტილისტო, რად გადაემტერეთ ასო „სანს“, რომელიც თითქმის ხუთმეტი საუკუნეა—კეთილსინდისიერად ემსახურება ქართულ დამწერლობას?

ახლა წადით, იჩხუბეთ, მაგრამ იჩხუბეთ ისე, რომ გამოარკვიოთ თუ ნამდვილად როგორ უნდა მაგ ასოების გამოყენება...

ორივენი წავიდნენ. მას შემდეგ კარგახანი გავიდა: ალბათ ჯერ კიდევ ირკვევენ.

ელიზბარ ივერიელი

ბარათები ნიანგს

ძვირფასო ნიანგო!

როგორც მანდ, თბილისში, ისე - მაიკოვსკის -რაიონის სოფელ მეორე ობბანიც ბევრია ხვთარი და თან მოიტანა თოვლი. ყველას შეგვიცვდა და ჩვენთან ერთად შესცივდა მუშა-პირუტყვსაც. ჩვენი ნიშები და ნიკორები, რასაკვირველია, დათბუნებულ ბოსლებში მოვათავსეთ, მაგრამ საკვებით მომარაგების საქმეზე დავეჭვდით და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვ. ზიგზივაძეს მივმართეთ:

— როგორა გაქვს პირუტყვის საზამთრო საკვების გეგმის შესრულების საქმე?

— ჩინებულად, 858 ცენტნერი უნდა დამემზადებინა, ფაქტიურად 751 ცენტნერი დავამზადე.

— რაღაა „ჩინებულად“, თუ გეგმა ვერ შეასრულე?

— თქვე კაი კაცებო, საკვების დამზადების გეგმას რომ მეკითხებით,—მოგვიგო მან,—რატომ მეცხოველეობის განვითარების გეგმაზე არაფერს მეტყვით? ეს გეგმაც მხოლოდ ნაწილობრივ შევასრულე და საკვები შეიძლება მომრჩეს კიდეც!

ჩვენ არ ვიცოდით, რომ თავმჯდომარეს ასე კარგად ჰქონდა შეფარდებული საკვებისა და პირუტყვის რაოდენობა. ის კი ვიცით, რომ ზიგზივაძეს სასჯელის რომელიღაც ზომა შეეფარდება.

თქვენ რას იტყვით, ძვირფასო ნიანგო?

გ. მ-ძე

პატივცემულო ნიანგო!

ჩვენ, ხვაშითის(ჭიათურის რაიონი) კოლმეურნეობის ფერმის ძროხებს, ერთი სათხოვარი გვაქვს. საქმე ის არის, რომ ფერმის გამგე გრიგოლ ბუზალაძე წარმოუდგენელ ცილსა გვწამებს.

ხან გაიძახის, უცხიმო რძეს იწველიანო, ხან სიბერწეს გვაბრალებს და, აქაო და ენა არა აქვთო, საქვეყნოდ მოგვჭრა თავი.

ამასწინათ ჩვენ მიერ მიცემული რძის განსაზღვრული რაოდენობიდან 74 კილოგრამი ყველი უნდა გამოსულიყო. ბუზალაძემ იმდენი მოახერხა, რომ 50 კილოგრამზე მეტი არ გამოიყვანა. როცა რევიზია გაუკეთეს და უსაყვედურეს, ასე არ მოხდებოდაო „მოსაყვედურენი“ გადარჩენილ ყველსა და კარაქზე დაჰპატიჟა, აუხსნა, დაუმტკიცა და დააჯერა, რომ ჩვენა ვართ დამნაშავე.

პატივცემულო ნიანგო! მართალია, ძროხები ვართ, მაგრამ ზოგიერთი რევიზორის ოდენა ჭკუა მაინც გვაჩნია. ცილისმწამებელს უთხარით, წინლი არ გაგვაქნევინოს.

მაშიკო, ყორანა და თაფლ

პატივცემულო ნიანგო!

ჭიათურის ერთ-ერთ ქარხანა-მაღაროს სასადილოში უფროს მზარეულად მუშაობს კ. არჩვაძე. ამ მუშტგანათლებულს, პატივცემულო ნიანგო, მართლა არჩვის სისწრაფე და მოქნილობა აქვს. ამასწინათ ის რიგიანად მიბეგვა მზარეული შ. ნაცვლიშვილი, რომ საცოდავს სამ დღეს, გამლახავის ვინაობის გარდა საკუთარი გვარიც აღარ ახსოვდა.

არჩვაძე თავს ისე გრძნობს სასადილოში, როგორ საკუთარ სახლში. საინტერესოა, როგორ იგრძნობ თავს არჩვაძის მფარველები, როცა ამ წერილს წაკითხავენ.

მაღაროელი

ამხ. ნიანგო!

ამხ. ნიანგო! რვა თვეა, რაც ვაშლოვანის ქ. № სახლში, ჩვენი მონგრეული კიბის სანახავად, რვაჯერ იყო ორჯონიკიძის რაიონის საბინაო სამმართველოს 8 წარმომადგენელი, მაგრამ რვანივე გაგვექცნენ.

— მაღლა სართულზე რომ წამოსკუპულხართ, რომ გორ შევამოწმოთ ეგ დამპალი კიბე, ზედ რომ ამ ვიდეთ, თავი მოძულებული კი არა გვაქვსო,—იტყვი და გაიქცევიან.

ამხ. ნიანგო! სანამ ზაფხული იყო, იცოცხლე, ყოვ დილით ხტომის გაკვეთილებს ვატარებდით, მაგრ ახლა, ზევიდან ქვევით ყინულზე გადმოხტომა ჩემთვ კი არა, სპორტის დამსახურებული ოსტატებისთვის კი მეტად გასაბედი საქმეა. იქნებ თქვენ მაინც გვა წავლოთ, ამხანაგო ნიანგო, ამ ზამთარში სპორტის სახით შეიძლება ვისარგებლოთ, ან რა არის საჭირ იმისათვის, რომ საბინაო სამმართველოს მუშაკე როგორმე კიბეზე ამოვიტყუოთ?!

გ—ი

რომანი და სავარცხლისებური ასანთი

ნახ. დონისა



1. — ტყუილად ცდილობ, ცარიელი სიტყვებით ცეცხლს ვერ მომიკიდებ.

2. — მაშ რა ვქნა, რა ღონე უნდა ვიხმარო?

3. ცეცხლი მოუკიდა.

საახალწლო წკიპურტები—სამტრედიისათვის

რადიოს

ხან ბულბულივით ჭიკჭიკობ,
სულ შენს ყურებას ვუნდები,
ხან ელვასავით იელვებ,
ხან კი—სულ დაგვიდუმდები.

ხან ქარი ხმას ჩაგიხრინწავს,
ხან გბურავს ბინდი-ბუნდები.
წკრიალა შროშის ჰანგებით,
კვლავ როდის დაგვიბრუნდები?

რაიკოოპკავშირს

ნოემბერმა, გენაცვალე,
ასე შემოგითვალაო:
— დეკემბერში რაც აკეთე,
იანვარში არ კმარაო.

ქალაქში რომ ფეხი შესდგი,
ძალღონეს ნუ დაფარავო!
მაღაზია-დარაბები
გაგვიხსენი ჩქარ-ჩქარაო.

ბაგნელი ბზიკი

ნაბადისუბნის ფოსტა

(ფოთი)

ამ ფოსტაში რომ მიხვიდეთ,
უნდა გყავდეთ კარგი ცხენი,
თორემ ლაფში ჩაეფლობით,
ვინ იქნება გადამრჩენი?

მაგრამ ვსთქვათ, რომ მიაღწიეთ,
აგენთებათ ბრაზით გული,—
აქ, კარებზე, უფრო ხშირად,
ბოქლომია დაკიდული.

ნიანგოჯან, დაგვეხმარე,
რომ გაგვიღონ ფოსტის კარი
და გაიგონ, ძისი გამგე
რას აკეთებს, ან სად არი?

ნოე

აფიშასთან

ნახ. გ. ფირცხალავასი

— გამოდის, რომ ჩვენ არ შეგვიშვებენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერება და ტექნიკა

ჯაფის რეკონსტრუქცია

ყველა თქვენგანმა იცის რა დიდად საჭიროა ყოველად უბრალო ნივთი—ეგრედწოდებული ტაფა. ასეთის შეძენა შეგვიძლია თბილისის ბევრ მაღაზიაში. ტაფას, რომელიც უკანასკნელ ხანებში გამოუშვა თბილისის ნ. ქარხანამ, ვიყიდით და მოვიტანთ სახლში. ტაფას დავდგამთ ანთებულ ნავთქურაზე და შესაწვავად დავფცქვნით კარტოფილს. კარტოფილს კარგად შევწვავთ ტაფაზე და შემდეგ ვეცდებით ტაფა ძირს გადმოვდგათ. გადმოდგმის დროს მოიღუნება ტაფის ტარი და კარტოფილი ძირს დაცვივა. (სურ. 1) კარტოფილს ავკრეფთ, გავხვევთ სუფთა ქაღალდში და სახსოვრად გავუგზავნით ხსენებული ქარხნის დირექციას. ტაფას ავიღებთ, მოვხსნით ტარს და გადავჭრით შუაზე. შუაზე გაჭრილ ტარიდან მოვამზადებთ ტაფის ორ ყურს, როგორც № 2 სურათზეა ნაჩვენები. ამის შემდეგ ტაფაზე ვამაგრებთ ორივე ყურს ისევე, როგორც ამავე





ქარხნის მეორენაირ ტაფას აქვს ყურები მიმაგრებული. (სურ. 3). ტაფას კვლავ დავდგამთ ნავთქურაზე და შიგ ჩავდებთ ჭადის ცომს. როცა ცომი გამოცხვება, ვეცდებით ცალ ყურში წავავლოთ ტაფას ხელი და ძირს გადმოვდგათ ჭადის გადაბრუნების მიზნით. გადმოდგმის დროს ტაფის ყური კვლავ გაიღუნება და ჭადი ძირს დავარდება (ამ შემთხვევაში კი თავი შევიკავოთ ქარხნის დირექციისათვის ჭადის გაგზავნაზე, თორემ მეტი მოუვა). ასეთები რომ შემდეგში თავიდან იქნეს აცილებული, საჭიროა ორივე ყური მოვხსნათ ტაფას და ხელახლა დამაგრებისას, სქელი რკინის გარდა, წინააღმდეგ აღნიშნული ქარხნის ერთერთი საამქროს უფროსისა—ჭკუაც დავაყოლოთ.



მეცნიერების დაუმსახურებელი
მოდვაწე—**ბია**

საოცარი „ბუხარი“

მემანქანე ლ. უტიაშვილს სად. გურჯაანსა და სად. წნორის შორის ორთქლმავალით დაჰყავს მგზავრები.

ღამე იყო ყინვიანი...
შემოუსხდა ყველა „ბუხარს“,
ზოგი ჩიბუხს აბოლებდა,
ზოგს მოუნდა ციცხლზე ხუხვა.
შაირებიც წამოიწყეს,
ბაასობდნენ აბდაუბდად,
ერთმა მოკლეკისრიანმა
ტყუილების გახსნა გუდა.
„მასპინძელი“ მემანქანე
შეეგება ყველას ძმურად,
თანაშემწე თამრო „ბუხარს“
აჩაღებდა საამურად.
ქალი, კაცი, ცხვარი, ტიკი,—
ოცს ითვლიდა ყველა ერთად,
მხოლოდ ტიკი ნაწყენივით
მხართეძოზე იწვა კენტად.
და „ბუხარი“ საოცარი
მიგორავდა გატაცებით,
წნორისაკენ თან მიჰყავდა
გურჯანელი „ძმაკაცები“.
თუ გგონიათ ზღაპარს ვამბობ,
ან ვიგონებ ჭორს ან რამეს?
შეეკითხეთ უტიაშვილს,—
ჩვენ გურჯანელ მემანქანეს:
— ძმაო ლეო! ორთქლმავალი
ბუხარია პაპაშენის?
მგზავრებს რომ სვამ ორთქლის
ქვაბთან,
მემანქანეს განა შენის?

მ. კალმოსანიძე

ახალი წელი თბილისთან

ნახ. ს. და დ. გაბაშვილებისა

— რა ვქნა, რომელ საათს დავუჯერო, როდის შევიდე ქალაქში?!

სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, გრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги". რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1947 წ. 30/I ლ. ბ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28. გამოც. № 9 შეკ. № 43. ტირ. 7500 ფფ 00760